საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

tafu.edu.ge

გზამკვლევი ბაკალავრიატი

2023-2024

შინაარსი

1 ოფლის და კანის სახლშეწოვა ონიკოფაგია

2 აკადემიური კალენდარი

3 ნაკლოვანების ფანდარი

4 წეოვლის საგასუხი

5 ფოლენტის ოკლებები და შოკოლადები

6 **INI.ge**

7 კეთილი ჭიანები

8 ონიკოფაგიის სიჩქე

9 საკონტაქტო ინგოჩმატია

თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისტორია

1933 წელს ა. ფაღავამ დაარსა „სასცენო ხელოვნების უმაღლესი კურსები“. სახკინმრეწვთან შეიქმნა კინოსამსახიობო კურსები. რუსთაველის თეატრისა და სხვა სტუდიების ბაზაზე 1939 წლის 1 სექტემბერს აკაკი ხორავასა და აკაკი ფაღავას ინიციატივით, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, აღდგენილ იქნა თეატრალური ინსტიტუტი. მისი რექტორი იყო ა.ხორავა, მოადგილე - ა.ფაღავა. 1992 წელს თეატრალურ ინსტიტუტს ეწოდა თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი.

2002 წელს ინსტიტუტი გარდაიქმნა უნივერსიტეტად. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთვრებულებმა არსებითად განსაზღვრეს მეოცე საუკუნისა და თანამედროვე საქართველოს თეატრალური კულტურის განვითარების ხასიათი.

ხედვა

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 2024 წლისათვის არის სახელოვნებო პროფილის მდიდარი ტრადიციების მქონე, უნიკალური და განვითარების თანამედროვე ხედვაზე ორიენტირებული, ცნობადი და აღიარებული უნივერსიტეტი, რომელიც შემოქმედებითი განვითარების, სწავლა-სწავლებისა და კვლევების ინოვაციური მეთოდებით, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სასწავლო კურსებით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და შემოქმედებითი პროექტებით,

სახელოვნებო მეცნიერებების, მედიის, ტურიზმისა და მენეჯმენტის სფეროში აქტუალური კვლევებითა და მრავალფეროვანი ხარისხიანი სერვისებით უპასუხებს თანამედროვეობის მნიშვნელოვან გამოწვევებს, ემსახურება ხელოვნების დარგების განვითარებას და წამყვანი პოზიცია უჭირავს საქართველოს, კავკასიის რეგიონის, ევროპისა და აზიის უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებს შორის.

მისია

უნივერსიტეტი - ხელოვნების მიმართულების უმაღლესი აკადემიური განათლების მნიშვნელოვანი კერაა საქართველოში. უნივერსიტეტის მისიაა - ხელოვნების დარგების განვითარება და კვლევა, ხელოვნების დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და პროფესიონალების აღზრდა. უნივერსიტეტი წარმოადგენს სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, ხელოვანთა, მკვლევართა, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მჭიდრო კავშირს, რომელთა ერთიანი, ჰარმონიული თანამშრომლობით იქმნება სწავლების, შემოქმედებითი განვითარებისა და სამეცნიერო კვლევების ერთიანი არეალი.

ასევე ხელოვნების დარგების (თეატრალური, აუდიოვიზუალური, ქორეოგრაფიული, სამუსიკო) მნიშვნელოვანი და მდგრადი განვითარების საფუძველი ქვეყნის მასშტაბითა და საერთაშორისო ასპარეზზე. უნივერსიტეტის მისიაა იქცეს გამოცდილების გაზიარების, ახალგაზრდა შემოქმედთა ურთიერთობების და კულტურათა დიალოგის საერთაშორისო ცენტრად.

გრიმის ცხება

ალბათ ყველა თეატრალისთვის ცნობილია ის ტრადიცია, რასაც 80-იან წლებში დოდო ალექსიძემ ჩაუყარა საფუძველი და აგერ უკვე მეშვიდე წელია კომპანია რედიქსის ინიციატივით აღდგა. თეატრალური -ნათლობა-, გრიმის ცხება - გზის დალოცვა, ყოველივე ეს პირველკურსელთათვის საკრალური მნიშვნელობის გახდა და ყოველ შემოდგომას, ყვარელში, მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმის მარანში ახალბედა სტუდენტები სრული პასუხისმგებლობით და მონდომებით მონაწილეები ხდებიან იმ ტრადიციისა, რასაც თეატრალური ნათლობა ჰქვია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასევე ძალიან საპასუხისმგებლოა ნათლიების როლი, რასაც ყოველწლიურად დიდი სიამოვნებით ითავსებენ კორიფე მსახიობები და რეჟისორები... ისინი თავის გამოცდილებას უზიარებენ სტუდენტებს და რთულ გზას ულოცავენ...

აკადემიური კალენდარი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისგან, ესენია:

უფროსების სემესტრი

- **სალექციო პერიოდი**: 18.09.2023 – 30.12.2023
- **საშობაო არდადეგები**: 01.01.2024 – 07.01.2024
- **საგამოცდო სესია**: 08.01.2024 – 03.01.2024
- **არდადეგები**: 12.02.2024 – 24.02.2024

გაზაფხულის სემესტრი

- **სალექციო პერიოდი**: 26.02.2024 – 08.06.2024
- **საგამოცდო სესია**: 10.06.2024 – 06.07.2024
- **დამატებითი გამოცდები**: 08.07.2024 – 08.07.2024

ბაკალავრიატის სტანდარტი

უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საფეხურზე შემოთავაზებულია ქართულენოვანი პროგრამები. თითოეული პროგრამა გათვლილია 8 სემესტრზე (4 სასწავლო წელი).

საბაკალავრო პროგრამის დასრულებისათვის და დიპლომის მისაღებად სტუდენტი ვალდებულია, 8 სემესტრის მანძილზე დააგროვოს მინიმუმ 240 კრედიტი.

თითოეული პროგრამისათვის კურიკულუმი განსხვავებულია — სტუდენტი ვალდებულია, 8 სემესტრის მანძილზე პროფესიისათვის გათვალისწინებულ ყველა საგანში მიიღოს დადებითი შეფასება.
შეფასების წესიც სტანდარტიზებულია და თითოეულ საგანში გათვალისწინებულია 100 ქულა, რომელიც სკალაზე შემდეგნაირად ნაწილდება:

- A: 91–100 ფრიადი
- B: 81–90 ძალიან კარგი
- C: 71-80 კარგი
- D: 61–70 დამაკმაყოფილებელი
- E: 51–60 საკმარისი
- FX: 41–50 ვერ ჩაბარა, თუმცა ეძლევა საბოლოო გამოცდის გადაბარების უფლება
- F: 0-40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა შეისწავლოს კურსი.

თითოეულ საგანს აქვს სილაბუსი, რომელშიც შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი.

ყველა საგნისთვის შეფასების წესი განსხვავებულია, თუმცა ძირითადი კრიტერიუმებია:

- საშინაო დავალება/შემოქმედებითი აქტივობები
- შუალედური გამოცდა
- ფინალური გამოცდა/ნაშრომი

სწავლის საფასური

2023-2024 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისთვის სწავლის წლიური საფასური შეადგენს 2250 ლარს.
სტუდენტი, რომელსაც მოპოვებული აქვს სახელმწიფო სასწავლო, სოციალური ან სხვა ტიპის გრანტი ან დაფინანსება, იხდის სხვაობას სწავლის საფასურის დადგენილ ოდენობასა და მოპოვებულ გრანტს ან დაფინანსებას შორის.

სწავლის დაწყებამდე, უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები და სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის გადახდის ვადები და პირობები.

იმისათვის, რომ გადახდილი თანხა აისახოს თქვენს საუნივერსიტეტო ანგარიშზე, დანიშნულებაში სავალდებულოდ მისათითებელია შემდეგი ინფორმაცია:

სტუდენტის პირადი ნომერი,
სახელი და გვარი;
სწავლების საფეხური.

სწავლის/კრედიტების საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით შემდეგ ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი TRESGE22, ანგარიშის #7 0888 7289

ბაკალავრიატის საფეხურის პირველი კურსის სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადასახადის დაფარვა შესაძლებელია ერთიანად (2250 ლ.) ან სემესტრულად (1125 ლ.)

თუ სტუდენტმა სასწავლო წლის დასაწყისში სწავლის საფასური გადაიხადა ერთიანად (2250 ლ.), ხოლო საგაზაფხულო სემესტრში მან მოიპოვა შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება მაღალი აკადემიური მოსწრებით, ამ შემთხვევაში, მის მიერ გადახდილი საგაზაფხულო სემესტრის სწავლის საფასური (1125 ლ.) დაუბრუნდება

სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი უმაღლესი განათლება;
- მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში, მათ შორის ჩართული იყოს პრაქტიკულ სამუშაოებში;
- უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უნივერსიტეტისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;
- თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სახელმწიფო დაფინანსების გადატანის წესს განსაზღვრავს მინისტრი;
- საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
- განახორციელოს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

სტუდენტი ვალდებულია, გაითვალისწინოს, რომ აკრძალულია:

- სასწავლო პროცესისთვის ხელის შეშლა- ლექციაზე დაგვიანება, ხელმძღვანელი პირის თანხმობის გარეშე უცხო პირთან ერთად აუდიტორიაში შესვლა, ხმაური აუდიტორიასა და დერეფნებში, ელექტროენერგიის გათიშვა და სხვა;
- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
- ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, როგორც ინდივიდუალურად, ასევე - ჯგუფურად, გავრცელება ან/და გამოყენება, გარდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული შემთხვევებისა;
- სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის მხრიდან მის მფლობელობაში გადაცემული ნივთის არამართლზომიერი მოხმარება, გარდა იმ მიზნებისა, რისთვისაც გადაეცა ნივთი სტუდენტს;
- ბილწსიტყვაობა, უხამსობა, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (მათ შორის შიდა ეზოებში) ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა და სხვა;
- ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება ან/და გამოყენება და სხვა (გარდა ექიმის მიერ დანიშნულისა);
- ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის გამოყენება, შემოტანა ან/და გავრცელება და სხვა.
- ძალადობა, მუქარა, ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტ(ებ)ის, აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის და/ან მოწვეული მესამე პირებისათვის და სხვა.
- წინასწარი შეთანხმებისა და გაფრთხილების გარეშე, ფარული ვიდეო/ფოტო/აუდიო ჩანაწერის განხორციელება/ გავრცელება.
- უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირის ლეგიტიმური მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა;
- საუნივერსიტეტო სივრცის, მოძრავი ან უძრავი ქონების არამართლზომიერი და უნებართვო გამოყენება ნებისმიერი მიზნით;
- სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი წესებისა და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევა/ უგულვებელყოფა.

Ini.ge

რა არის ini.ge?

ინი.ჯი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესზე ინდივიდუალურად მორგებული სისტემაა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტს, რომლის საშუალებითაც მარტივი გავხადეთ სასწავლო პროცესის მართვა.

Ini.ge შესაძლებელს ხდის

მიიღოთ ინფორმაცია:

- სალექციო კურსის ელექტრონულ მასალებზე;
- შუალედური შეფასებების, სემესტრის ბოლოს კი ყველა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებებზე;
- სწავლის პროცესში დაგროვილ კრედიტებზე;
- საუნივერსიტეტო სიახლეებზე;

გქონდეთ სრული ხედვა უნივერსიტეტში არსებული ყველა:

- პროგრამის სტრუქტურისა;
- სასწავლო კურსის სილაბუსისა;
- სასწავლო კურსის სასწავლო მასალისა.

მართოთ პირადი პროფილი:

- შეადგინოთ რეზიუმე;
- მოითხოვოთ რეკომენდაცია ლექტორებისაგან;
- თითოეული სალექციო კურსის ფარგლებში მიიღოთ და გააგზავნოთ დავალება.

ამასთან:

- მიიღოთ პირადი შეტყობინებები;
- დაწეროთ და გაგზავნოთ განცხადებები;
- მიიღოთ მონაწილეობა საუნივერსიტეტო გამოკითხვაში.

Ini.ge საინფორმაციო რეჟიმში ჩართულია მთელი წლის განმავლობაში.

გაცვლითი პროგრამები

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან კავშირების ჩამოყალიბებას, ასევე Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირებას.

უნივერსიტეტი გთავაზობთ შემდეგ სერვისებს:

- ინდივიდუალური კონსულტაციები გაცვლითი პროგრამების კონკურსის პირობებისა და პროცედურების შესახებ;
- დახმარება საკონკურსო განაცხადების მომზადების პროცესში;
- რეგულარული საინფორმაციო შეხვედრები კონკურსის მსვლელობისას;
- დახმარება სასწავლო ხელშეკრულების შეთანხების საკითხში შესაბამის ფაკულტეტთან მასპინძელ და მშობლიურ უნივერსიტეტებში სასწავლო პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- გამგზავრების წინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება მობილობისთვის შერჩეულ სტუდენტებთან.

SMART Caffe შექმნას საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნვერსიტეტში 2021 წელს ERASMUS + პროგარმის ფარგლებში ჩაეყარა საფუძველი.

SMART Caffe-ს ქსელი თანამედროვე ევროპულ უნივერსიტეტებში სტუდენტებისათვის იქმნება საწარმოებთან თანამშრომლობისა და მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით. SMART Caffe-ს საშუალებით ხდება სტუდენტების ხელშეწყობა, მათი სტარტაპების წახალისების, SMART პროექტების შექმნის გზით.

SMART Caffes პროექტი არის უმაღლესი განათლების სფეროში შესაძლებლობების განვითარების ნაწილი.

უნივერსიტეტის სივრცე

კამპუსში ფუნქციონირებს სტუდენტებსა და მათ საჭიროებებზე მორგებული სხვადასხვა სივრცე, მათ შორის - smart cafe, ბიბლიოთეკა, მოსასვენებელი სივრცეები და სხვა. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, იმუშაონ, ჩაერთონ და განახორციელონ სხვადასხვა პროექტი, წაიკითხონ, ან უბრალოდ, სასიამოვნო გარემოში გაატარონ თავისუფალი დრო.

ბიბლიოთეკა

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს სასწავლო – კვლევით სივრცეს და მისი მრავალფეროვანი ფონდი მოიცავს სხვადასხვა ენაზე შესრულებულ მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, ელექტრონულ რესურსსა და სხვა.

ბიბლიოთეკაში სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს სამკითხველო დარბაზითა და კომპიუტერული რესურსებით, ვიდეოთეკით.

ბიბლიოთეკაში შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი სერვისებით:

- წინასწარ დაჯავშნოთ სასურველი წიგნი.
- გაიტანოთ წიგნი ბიბლიოთეკის დარბაზიდან.
- გადაავადოთ წიგნის დაბრუნება

საკონტაქტო ინფორმაცია

აღწერა	ტელეფონი	ელ.ფოსტა
ადმინისტრაცია	+ 995 322 99-94-11	info@tafu.edu.ge
დრამის ფაკულტეტი	+995 322 99-94-11	drama@tafu.edu.ge
კინო-ტელე ფაკულტეტი	+995 322 99-94-11	kinotele@tafu.edu.ge
სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი	+995 322 99-94-11	artsmedia@tafu.edu.ge
სტუდენტური თვითმმართველობა	+995 322 99-94-11	selfgovernment@tafu.edu.ge

უნივერსიტეტის I კორპუსი, შოთა რუსთაველის გამზირი №19



უნივერსიტეტის II კორპუსი, დავით აღმაშენებლის გამზირი №40